ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2850307

ნომერი: AR1442800

თარიღი : 21.09.2016

გაცემის თარიღი : 12.10.2016

გაცნობის თარიღი : 12.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამი ვაგიჰ გეორგი სორიალ --- პ/ნ 01791001535
- თბილისი ზღვისუბნის დას. XI მ/რ III კვ. კორ. 54ა ბ. 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21/09/2016 წ. # AR1442800 განცხადებით მომართა რამი

ვაგიჰ გეორგი სორიალმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად ეთერი არჩუაძის ნაცვლად შპს „ეკჯ“-ს მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი ჩუღურეთი, ქუჩა რეხი III, ეთერი არჩუაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ N01.16.08.005.039) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 09 სექტემბრიდან 2018 წლის 09 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა ეთერი არჩუაძე.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შეიცვალა საპროექტო ობიექტის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით, #01.16.08.005.039 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ეკჯ“ (განაცხადის რეგისტრაციის # 882016626134, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/09/2016წ.).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებაში დამკვეთად ეთერი არჩუაძის ნაცვლად მიუთითოს შპს „ეკჯ“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებაში და დამკვეთად ეთერი არჩუაძის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ეკჯ“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წ. №2822906 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.